ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის სხდომის N1 ოქმი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 06 ნოემბერი 2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **დავით კვიციანი - კომისიის თავმჯდომარე;**
ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **გიორგი ჩიქობავა - კომისიის წევრი;**
გ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი **ვასილ თოდუა - კომისიის წევრი.**

დღის წესრიგი:
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ.

კომისიამ განიხილა:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 ოქტომბრის N№42.42242902 ბრძანების შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია დადგენილ ვადაში, M2 კატეგორიაზე წარმოადგინა 6 კონკურსანტმა (ინდივიდუალური მეწარმეები: გოდერძი რურუა, თენგიზი გვასალია, დათუნა ჩირგაძე, ვახტანგი კალანდია, შალვა ვასაძე, მალხაზი პერტაია).
კომისიამ შეისწავლა ინდივიდუალური მეწარმეების (6 ინდ/მეწარმე) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც სრულყოფილია.

კომისიამ დაადგინა:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური მეწარმეების (6 ინდ/მეწარმე) მიერ შემოტანილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია შეესაბამება საკონკურსო პირობებს და ისინი დაშვებულ იქნას კონკურსზე.
2. დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული საკონკურსოდ გათვალისწინებული მარშრუტის ნომერი და მასზე სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად კონკურსზე დაშვებული ნებართვის მაძიებლის ჩამონათვალი თანახმად **დანართი 1-ისა.**
3. სამუშაო ჯგუფის მიერ, საკონკურსოდ წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება შეფასდეს ნებართვის მაძიებლის კონკურსში დაშვებიდან, 2024 წლის 08 ნოემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი ფოთი, დანელიას ქუჩა N39-ის მიმდებარედ.
4. კონკურსის ჩატარების ადგილია - ქალაქი ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N12, კონკურსის ჩატარების თარიღი და დრო - 2024 წლის 14 ნოემბერი 12:00 საათი.
5. კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება, მასალების საჯარო განხილვის მიზნით გამოქვეყნდეს (ვებ.გვერდზე **http://www.poti.gov.ge).**

---------- დავითი კვიციანი - კომისიის თავმჯდომარე

---------- გიორგი ჩიქობავა - კომისიის წევრი

---------- ვასილ თოდუა - კომისიის წევრი